ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 88

« 1 » აპრილი 2016 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზ. №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.16.002.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 18 თებერვლის №8 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 18 მარტის №04/5246 წერილის (AR1368532) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზ. №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.16.002.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1368532 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დაავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

AR1368532 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი

დასაპროექტებელი ობიექტი: – მრავალფუნქციური კომპლექსი;

განმცხადებელი: ირაკლი კვერღელიძე;

ობიექტის მისამართი/ადგილმდებარეობა: – ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი #22;

გრგ-ს საპროექტო ტერიტორიის სავარაუდო არეალის ფართობი: – 9214 მ²;

გრგ–ს სავარაუდო არეალის მიწის სარგებლობის საკადასტრო გეგმა: #01.10.16.002.003;

ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები:

ტრიტორიის დახასიათება და ქალაქთმშენებლობითი განვითარების შესაძლებლობები მდგომარეობს შემდგომში:

ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით, დამტკიცებული ,,დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმი"-ს მიხედვით ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი #22–ში არსებული ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1–ში (სსზ–1).

საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონას, მათ შორის კარკასს, განაშენიანების დომინირებული სახეობის გარეშე (შერეული ზონა);;

–საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

გრგ დავალების გაცემის საფუძველია:

– განცხადება AR1368532 (04.01.2016)

– ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი #08 (18.02.2015.) და #10 (13.03.2014)

– ქ. თბილისის მერის 2014 წლის 20 მარტის 589 განკარგულება

შენიშვნა:

1. წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიის არეალში და მის გარე ტერიტორიასთან კავშირის განსახორციელებლი სატრანსპორტო სქემა;
2. საპროექტო კომპლექსში შემავალი შენობების სიმაღლის სხივის საანგარიშო y–ის მაჩვენებლის ცვლილების აუცილებლობა განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;

3. გათვალისწინებული იქნეს „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“–ს სხდომის წევრთა რეკომენდაციები.
4. გათვალისწინებული იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შეზღუდვა (სერვიტუტი).
5. მშენებლობის ნებართვის სტადიაზე დაევალოს დამკვეთს ქ. თბილისის მერის 2014 წლის 20 მარტის #589 განკარგულებით მიშნიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2=8,8–ს შესაბამისი მოსაკრებლის გადახდა (იხ. დანართი).
6. მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;
7.

შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან განხორციელდეს:

- მრავალფუნქციური კომპლექსი დაპროექტდეს საკადასტრო არეალით დადგენილ საზღვრების ფარგლებში;

– იმ შემთხვევაში, თუ იგეგმება ერთიანი საპროექტო ტერიტორიის გამიჯვნა, პროექტში (უფლებრივი ზონირების დამოუკიდებელ სავალდებულო რუკაზე) ასახული იქნეს თითოეული საპროექტო ობიექტისთვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთების გამიჯვნის სქემა, რომლის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო გეგმები იქნება საფუძველი შემდგომში ობიექტების ინდივიდუალური მშენებლობისთვის.

- თითოეული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საინჟინრო და სატრანსპორტო ინფასტრუქტურით, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობა დამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში სერვიტუტის გამოყენებით.

– მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა) განისაზღვროს:

- ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში და დედაქალაქში დადგენილი სამართლებლივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე.

- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;

- ტოპოგრაფიული გეგმა მ 1:500 – ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, საინჟინრო კომუნიკაციების დატანით (პირობითი აღნიშვნების მითითებით);

- შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებისად, ხოლო ინდივიდუალური მშენებლობის სტადიაზე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო ტერიტორიების შესაბამისი გეოლოგიური დასკვნა.

– სარეკრეაციო სივრცეები დაიგეგმოს საპროექტო ინფრასტრუქტურისთვის შესაბამისი მოცულობებით;

- გრგ-ს პროექტის შესაბამისად განისაზღვროს ტერიტორიები ღია და დახურული ავტოსადგომების მოსაწყობად.

- საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ტერიტორია შემოისაზღვროს დეკორატიული ღობით და მოეწყოს დაცვისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა;

<u>ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობები განისაზღვროს შემდეგ ნაირად:</u>

- ინდივიდუალური მშენებლობის განხორციელების დოკუმენტაციის პროექტებში წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთების და მისი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის და დენდროლოგიის სქემები.

- გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;

- მოეწყოს პანდუსები უნარშეზღუდულ პირთა თავისუფალი გადაადგილებისათვის.

- გამოიყოს ტერიტორიები სანაგვე ყუთების და ლამპიონების განსათავსებლად;

<u>ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;</u>

- განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურით.

– გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად;

- ტერიტორიაზე საინჟინრო კომუნიკაციებიის არსებობის შემთხვევაში დაცული იქნეს მათთან სამშენებლო ნორმები, ხოლო მათი გადატანის აუცილებელობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან;

<u>ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები;</u>

<u>საპროექტო არეალი:</u> – 9214 მ²;

1. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალში 5 და 15 პუნქტებში მითითებული მასალები AutoCAD ან ArchiCAD –ის ფორმატში იქნეს ატვირთული tas.ge გრგ–ს შეთანხმების ველში. საკოორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-ს.
2. გრგ-ს წარმოსადგენ საპროექტო დოკუმენტაციას, მისი განხილვის მიზნით, აუცილებელია ახლდეს დოკუმენტაციის შინაარსის ამსახველი ელექტრონული ვერსია Power Point-ის ფორმატში.
3. გრგ-ით მოცული ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალურ რუკაზე დადგენილი და ასახული უნდა იქნეს:
    - საპროექტო ტერიტორიის საზღვრები;
    - მიწის ნაკვეთის საზღვრები;
    - განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები);
    - შენობების მაქსიმალური დასაშვები სიმაღლეები _ H;
    - მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯვნის სქემა)
    - განაშენიანების კოეფიციენტი კ1;
    - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2;
    - გამწვანების კოეფიციენტი კ3;
    - ცალკეული მიწის ნაკვეთების ფუნქციური გამოყენება, სამანქანო გზები და ავტოსადგომები;
    - მითითებული იქნეს გაბარიტული ზომები;

დამატებითი ინფორმაცია:

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებული პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს დამკვეთმა ან დამპროექტებელმა (დამკვეთის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით) ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში.

წინამდებარე გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.